რუსული იმპერიალიზმი და ბრძოლა საქართველოსთვის (1917-1930 წწ.) (რამდენიმე ასპექტი)

მაია ქვრივიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
maiakvrivishvili@yahoo.com .
https://doi.org/10.52340/lac.2022.816

პირველმა და მეორე მსოფლიო ომებმა და მათ შორის პერიოდში მიმდინარე მოვლენებმა ბევრი ხალხის და ქვეყნების ბედი შეცვალა და განსაზღვრა მათი განვითარების ვექტორი. XX საუკუნის განმავლობაში ორჯერ, 1918 და 1991 წლებში მოგვეცა საშუალება დამოუკიდებლობის აღდგენისა. 1921 წელს ბოლშევიკური რუსეთის მიერ ანექსირებულმა საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა და რამდენიმე ათეული წელი საბჭოთა იმპერიის ნაწილს, მის კოლონიას წარმოადგენდა.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ) მსვლელობისას, 1917 წელს დაემხო რუსეთის რომანოვების იმპერია. იმპერიის ჩაგრულ ხალხებს საშუალება მიეცათ აღედგინათ დამოუკიდებელი სახელმწიფო. მათ შორის იყო საქართველოც. 1918 წლის 26 მაის საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა ამცნო და საქართველოს სახელმწიფომ ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ისევ დაიბრუნა კუთვნილი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ მას არ ქონდა დემოკრატიული განვითარების გამოცდილება, ძლიერი პოლიტიკური ელიტის წყალობით დაიწყო თანამედროვე ევროპული ტიპის სახელმწიფო შექმნა. სამი წლის განმავლობაში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში უმაღლესი განათლების სისტემას და სამეცნიერო კვლევების განვითარებას, რომლის ცენტრს 1918 წლის 26 იანვარს შექმნილი პირველი ქართული უნივერსიტეტი წარმოდგენდა.

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სეკულარული სახელმწიფოს პრინციპებით დაიწყო ჩამოყალიბება; პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებისა პოლიტიკა გამოირჩეოდა ტოლერანტული პოლიტიკით; სახელმწიფოს კონტროლისგან თავისუფალი იყო შემოქმედებითი საქმიანობა და ზოგადად კულტურის სფერო; რწმენის, სიტყვის და რელიგიის თავისუფლება დაცული იყო.(ჯანელიძე ო.) ეს ყველაფერი 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული კონსტიტუციით იყო გარანტირებული. სამწუხაროდ, 1921 წლის 25 თებერვლის საბჭოთა რუსეთის ანექსიით იქნა დარღვეული საქართველოს მცდელობა განვითარებულიყო საკუთარი ეროვნული ინტერესებისდა შესაბამისად (ჯანელიძე, 2021;.4-5).

ამის შემდეგ, საქართველო მეორედ მოექცა რუსული იმპერიის კლანჭებში. იმპერიის, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე, მიუხედავად გარკვეული პოლიტიკური ცვლილებებისა, მაინც უცვლელი რჩებოდა მისი იმპერიული ზრახვები და მისწრაფებები.

„დღევანდელი რუსეთის ფედერაცია საბჭოთა კავშირის მემკვიდრეა, სსრკ – რუსეთის იმპერიის, რომელიც, თავის მხრივ, მოსკოვის დიდი სამთავროს პირმშო იყო. მაგრამ რუსეთში დამკვიდრებულ ყველა ახალ პოლიტიკურ ფორმაციას რამდენიმე უცვლელი მახასიათებელი აკავშირებს. აქედან ყველაზე თვალშისაცემია – შიდა მმართველობის უკიდურესი ავტორიტარიზმი და საგარეო პოლიტიკის აგრესიულობა“ (ბადრიძე გ; დავითაშვილი ზ.).

მესამე რომის იდეა, რომელიც რუსულ პოლიტიკურ და რელიგიურ ისტებლიშმენტში ძალიან პოპულარული იყო და სახელმწიფო იდეოლოგიის და მისი დამპყრობლური პოლიტიკის კვაკუთხედს წარმოადგენდა (და იდეოლოგიურად სახეცვლილი დღესაც არსებობს) განსაკუთრებით აქტუალური გახდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში და პირველი მსოფლიო ომის დროს, რომელიც ასე ფორმულირდებოდა: „Православие, Самодержавие, Народность“- მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა, ეროვნულობა/ხალხოსნობა? შეიძლება ითქვას, რომ არმიის ერთგვარ ლოზუნგს წარმოდგენდა:“ რწმენისთვის, მეფისთვის და სამშობლოსათვის.“ ნიკოლოზ I განათლების მინისტრის მიერ ჩამოყალიბებული ეს ერთგვარი „ფორმულა“ საწინააღმდეგო იყო ფრანგული - ძმობა, ერთობა, თავისუფლება“-ის. პირველი მსოფლიო ომის დროს „მესამე რომის“ იდეა შესაძლებელი იყო რეალობად ქცეულიყო, რომ არა 1917 წლის რევოლუციები რუსეთში და რომანოვების იმპერიის დასასრული.(ბადრიძე გ.)[1]

ბოლშევიკები, რომლებიც ინტერნაციონალიზმის კომუნისტური ლოზუნგებით მოვიდნენ ხელისუფლებაში არ დაივიწყეს მესამე რომის დოქტრინა და „მართლმადიდებლობა, თვითმპყრობელობა და ეროვნულობა“ შეცვალეს უფრო საყოველთაო, აგრესიული და დამპყრობლური იდეოლოგიით. მათი იდეა და მიზანი იყო კომუნიზიმის საყოველთაო გავრცელება ცენტრით -მოსკოვი. ნაწილობრივ მოახერხეს ამ იდეის განხორციელება, როგორც რომანოვების იმპერიის საზღვრების აღდგენით, ასევე აღმოსავლეთ ევრპოაში და აზიაში კომუნისტური რეჟიმების შექმნით. რელიგიას კომუნისტური იდეოლოგია ჩაენაცვლა, ეკლესიას კომპარტია და მეფეს - ბელადი (ბადრიძე 2019).

---

[1] საიქს-პიკოს საიდუმლო შეთანხმება – პირველი მსოფლიო ომის დროს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და რუსეთის წარმომადგენლებმა დაიწყეს საიდუმლო მოლაპარაკებები ომის შემდეგ მაშინდელი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიის გაყოფის შესახებ. მოლაპარაკებებს ხელმძღვანელობდნენ ბრიტანელი პოლკოვნიკი საიქსი, ფრანგი დიპლომატი პიკო და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი საზონოვი. 1917 წელს ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად, რუსეთი ომს და ამ შეთანხმებასაც გამოეთიშა და ის მხოლოდ ბრიტანულ-ფრანგულ მოლაპარაკებად დარჩა.შედეგად, ბრიტანეთმა და საფრანგეთმა ერთმანეთში გაიყვეს ოსმალეთის არაბული ტერიტორიები.

საქართველოს ტერიტორიის ოკუპაცია-ანექსიის შემდეგ დაიწყო მისი კულტურული კოლონიზაცია[2]. რომლის დროსაც იწყება დაპყრობილი კოლონიზირებული ხალხების „სხვად ქცევა“, კოლონიზატორის მიერ დაპყრობილისთვის კულტურული ნარატივის შექმნა და თავს მოხვევა. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა მკვლევრები არასოდეს არ ახსენებდნენ კოლონიებს, კოლონიზაციას, კოლონიურ პოლიტიკას საბჭოთა კავშირთან მიმართებაში, სადაც გამოხატული იქნებოდა მოსკოვისა და არარუსი ხალხების ურთიერთობა. ისინი ამ პრობლემას «ნაციონალური პოლიტიკით» იხსენიებენ (ENCAUSSE 1978: 15, 31) ხორცილედებოდა კულტურული პოლიტიკა, რომელიც ხალხთა გართგვაროვნებისაკენ მიდიოდა, მაგრამ ამას მრავალმა ფაქტორმ შეუშალა ხელი, მათ შორის ამ ხალხების კულტურულმა ტრადიციებმა. ამ პოლიტიკის ნაყოფმა პოსტსაბჭოთა პერიოდში იჩინა თავი, და მრავალი სიძნელე და დაბრკოლება შექმნა ახალი იდენტობის ძიების გზაზე. მათ შორის საქართველოში. რუსეთი თავის კოლონიურ პოლიტიკას მრავალი მიმართულებით ანხორციელებდა: სამხედრო, ტერიტორიული, ეკონომიური, სოციალური, ეროვნული (მათ შორის მცირე ერების წაქეზება), კულტურული. კულტურული რევოლუცია, რომელიც XX საუკუნის 20-იან წლებში დაიწყეს საბჭოთა კავშირის იურიდიულ არსებობამდე გრძელდებოდა (ENCAUSSE 1978 : 21,25,67). ამ პოლიტიკის მიზანი იყო ახალი ადამიანის, საბჭოთა სოციალისტური ერის შექმნა. ეს ასეც მოხდა, გარკვეულ წილად თავისი შედეგი გამოიღო საბჭოურმა კულტურის პოლიტიკამ. XX საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა კულტურას. საქართველო, როგორც დანარჩენი საბჭოთა კავშირი, ტოტალიტარული მექანიზმებით იმართებოდა. ქართული კულტურა განიცდიდა იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ზეწოლას. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ლენინის იდეებმა პრაქტიკული ხორცშესხმა ჰპოვა. საბჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი დეკრეტი იყო დეკრეტი ბეჭდვითი სიტყვის შესახებ, რომელმაც, ფაქტობრივად, აკრძალა ყველა ოპოზიციური პერიოდული გამოცემა, შემოღებულ იქნა პოლიტიკური ცენზურა. მოგვიანებით კი პრესა მთლიანად პარტიის სამსახურში ჩააყენეს. 1936 წელს მიღებული კონსტიტუციით აღფრთოვანებული «პრავდა» მოწინავეს პირით აცხადებდა, რომ ბოლშევიკურ პრესას საპატიო მისია დაეკისრა _ იყოს კოლექტიური პროპაგანდისტი, აგიტატორი და ორგანიზატორი, პარტიის ყველაზე ძლიერი იარაღი, რომ საბჭოთა

---

[2] პოსტკოლონიალისტური თეორია ცდილობს იმპერიალიზმის კულტურული ასპექტის წარმოჩენას. იმპერიალიზმი, ძირითადად, დაპყრობასთან, ექსპლუატაციასა და სხვის საზღვრებში შეჭრასთან არის ასოცირებული. კულტურული იმპერიალიზმის ცნება კი იმაზე მიანიშნებს, რომ იმპერიალიზმი კულტურულ დაპყრობასაც მოიაზრებს ან, უფრო ზუსტად, კულტურით დაპყრობას. იმპერიალიზმი ადგილობრივი კულტურის ტრადიციების ძალადობრივ რღვევასა და დამპყრობელი ქვეყნის კულტურის კონტექსტის თავსმოხვევას გულისხმობს. შედეგად იმპერიალიზმის მიმართ წინააღმდეგობა ხშირად კულტურით და „დაკარგულ“ ტრადიციებზე აპელირებით ხდება.კულტურული იმპერიალიზმი, ასევე გულისხმობს დამპყრობელთა პრაქტიკას, დაპყრობილი სივრცის მნიშვნელობის შეფასებისა და განსაზღვრის საფუძვლად იმპერიული და დომინანტური კულტურა გამოიყენონ. ამ დისკურსულ პროცესში „კოლონია“ აიგება დამპყრობლის წარმოსახვის, და არა - მისი რეალური გეოგრაფიის მიხედვით. კოლონიზებული ტერიტორიების შესახებ ლიტერატურის, ფერწერის, მისი რუკაზე დატანისა თუ სახელდებით, იმპერიალისტური ქვეყნები დისკურსულად აგებენ კოლონიის სინამდვილეს. http://dictionary.css.ge/content/cultural-imperialism

ჟურნალისტის ვალია აღზარდოს საბჭოთა სოციალისტური საზოგადოების «მკაცრი მაშენებელი». ლენინის მიერ სამოქალაქო ომი გადატანილ იქნა კულტურისა და იდეოლოგიის სფეროში (გაზეთი. Правда 1936: 1).

20-იან წლებში დაიწყო საბჭოთა კულტურის განსაკუთრებული პერიოდი, როდესაც დაიწყეს ბრძოლა "პროლეტკულტთან". ეს იყო მძლავრი და განშტოებული ორგანიზაცია, რომელიც მოიცავდა მასების თვითმოქმედებას და ისინი კულტურულ პროცესში ჰყავდა ჩართული. ლენინისათვის მიუღებელი აღმოჩნდა მათი მუშაობა, ბოგდანოვის "პროლეტარული კულტურის" თეორიის პრაქტიკაში განხორციელება, რადგანაც მასში ხედავდა კომუნიზმის პოტენციურ მტრებს: ინტელიგენცია, რომელიც შენიღბული იყო და "ბურჟუაზიულ ფილოსოფიურ შეხედულებებს" ნერგავადა, რევიზიას უკეთებდა მარქსიზმს და ეწეოდა ფუტურიზმის "გამრყვნელი იდეების" პროპაგანდას. იგი მის პოპულარობაში ხედავდა საშიშროებას იმისა, რომ პარტია და სახელმწიფო დაკარგავდა კულტურული პროცესების კონტროლის უფლებას და საშუალებას. მისი დაჟინებული მოთხონით, 1920 წელს რკპ ცკ მიერ მიღებულ იქნა წერილი, სადაც განიხილული იყო საკითხი "პროლეტკულტის" შესახებ. წერილში აღნიშნული იყო, რომ იქ შეაღწია "სოციალურად უცხო" "ინტელიგენტურმა ელემენტებმა". ეს წერილი მოასწავებდა არაკომუნისტური კულტურული გარემოს გაწმენდის გამოცხადებას და იდეოლოგიური და კულტურული პოლიტიკის გამკაცრებას (კრებული დადგენილებებისა და ცირკულარებისაა საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე, ტფ., 1926, გვ. 45).

20-იან წლებში, საბჭოთა ხელისუფლების საწყის ეტაპზე, ანუ, როგორც თვითონ უწოდებდნენ, "გარდამავალ პერიოდში" უკვე აშკარად ჩანს ის ძირითადი მიმართულებები და შორს გამიზნული გეგმები, რომელთა საშუალებით ცდილობდნენ, საბოლოოდ მოესპოთ ყოველგვარი ნიშანი ეროვნულობისა.

რუსული შოვინიზმის დანერგვის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურის (საერთოდ კულტურის) პოლიტიკის სამსახურში ჩაყენებას. ახალგაზრდობის კომუნისტურად აღზრდის საქმეში მხატვრულ ლიტერატურას უდიდესი როლი დაეკისრა, სტალინმა საბჭოთა მწერლებს "ადამიანის სულის ინჟინრები" უწოდა. მხატვრული ლიტერატურის სწავლება ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ ხელი შეეწყო ახალგაზრდობის აღზრდისათვის, მათში ემოციებისა და ნებისყოფის გაძლიერებისათვის, რათა მათ ეზრუნათ სოციალისტური სამშობლოს შემდგომი გაძლიერებისათვის. ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი კი ამის საუკეთესო იარაღი იყო. სკკპ არაფრად აგდებდა იმას, რომ პარტიულობის პრინციპმა დანიშნულება და შინაარსი წაართვა კულტურას, როგორც დამოუკიდებელ ფენომენს, _ სამართლიანად შენიშნავს ა. ბაქრაძე. დადებით მოვლენად მიაჩნიათ ის ფაქტი, რომ მწერალთა კავშირში შეიქმნა პარტიული ორგანიზაცია, რომლის უპირველეს ამოცანას წარმოადგენდა, სათავეში ჩადგომოდა მწერალთა ორგანიზაციებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, ეხელმძღვანელა მწერალთა კავშირისათვის, დაერაზმა ისინი ქვეყნის წინაშე მდგარი პრობლემების გარშემო. ოფიციოზის მიერ ასევე განსაზღვრული იყო საბჭოთა მწერლის თვისებებიც: უწინარეს ყოვლისა, იგი უნდა ყოფილიყო საბჭოთა ხელისუფლების, სოციალისტური სამშობლოს,

ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული ადამიანი, მას უნდა ყვარებოდა საბჭოთა ხალხი და თავისი საბჭოთა სამშობლო, უნდა ჰქონოდა მჭიდრო კავშირურთიერთობა მშრომელთა ფართო ფენებთან (გოგუაძე გ. მხატვრული ლიტერატურა აღზრდის უძლიერესი იარაღია, ჟურნ.: ლიტერატურული საქართველო, #1(3) 15.01.1937, გვ.4).

ოციანი წლები, შეძლება ითქვას, იყო ყველაზე მრავლის განმაპირობებელი შემდგომი პერიოდის ქართული საბჭოთა კულტურის ისტორიაში. ქრონოლოგიურად, თითქმის მთელი ათწლეული არსებითად განსხვავდებოდა როგორც წინა, ისე მომდევნო პერიოდებისგანაც. ოციანი წლების სპეციფიკა, პირველ რიგში, მდგომარეობდა იმაში, რომ ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო შემოქმედებითი პლურალიზმი, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ფორმათა მრავალფეროვნება. კულტურა ჯერ კიდევ არ იყო მთლიანად ანგაჟირებული პოლიტიკით.

პირველ რიგში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ კულტურის ძირების შინაარსი და სიღრმე ოციან წლებში განპირობებული იყო წინა პერიოდით. ბევრი ძველი მოღვაწე კიდევ აგრძელებდა მოღვაწეობას. საგანგაშო იყო ადმინისტრაციულ-ხელმძღვანელობითი მეთოდის დამანგრეველი ზემოქმედება კულტურასა და ეკონომიკაზე, პარტია-სახელმწიფოს გაძლიერებული დიქტატურა შემოქმედებითი ინტელიგენციის მიმართ, პროლეტკულტის, რაპპის და სხვა გაერთიანებების დამანგრეველი მოქმედებები, სკოლისა და მოქალაქეების გამოყოფა ეკლესიისაგან, როგორც მდიდარი ეროვნული ტრადიციების გამომხატველისაგან, ხელოვნების ნიმუშების გაყიდვა (Rene 607; სსრკ ყრილობების, კონფერენციებისა.. 1955: 229).

მიჩნეული იყო, რომ ხელოვნება წარმოადგენს ახალი ადამიანის აღზრდისა და სოციალური რეალობის გარდაქმნის საშუალებას. მათ ესთეტიკურ სისტემაში უმთავრესია ხელოვნების მიჩნევა არამარტო რეალობის აღქმის, არამედ მისი შეცვლისა და გადასხვაფერების საშუალებადაც. პროლეტკულტის თვალსაჩინო მოღვაწის გასტევის მიერ შემოღებულ იქნა ტერმინი «სოციალური ინჟინერია». ხელოვნებასთან მიმართებაში იგი აღნიშნავდა საკუთარი საშუალებებით არამარტო სოციალური ცხოვრების, არამედ ადამიანის ფსიქიკის რადიკალურ გარდაქმნას.

ავანგარდის მიერ წამოყენებული ფუნდამენტური კონცეფცია ახალი ადამიანის შექმნისა გახდა მთავარი ამოცანა საბჭოთა კულტურისათვის. 1932 წლის 23 აპრილს რკპ(ბ) ცკ დადგენილებით «ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების მოწყობის შესახებ» (Партийное строительство 1932:62). მმართველმა პარტიამ არჩევანი გააკეთა ტრადიციონალიზმსა და რეალიზმს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ და ამ სფეროში დირექტიული მეთოდით აკრძალა ყოველგვარი ექსპერიმენტები. სოციალისტური რეალიზმი ერთადერთ და აუცილებელ მხატვრულ მეთოდად გამოაცხადა მთელი საბჭოთა ხელოვნებისათვის.

სოციალისტური რეალიზმი _ ეს ტერმინი საბჭოთა პრესაში პირველად იხმარეს 1932 წელს, მისი წარმოშობა და განვითარება დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყანაში სიციალისტური იდეების გავრცელებასა და მუშათა მიძრაობის განვითარებასთან. სოციალისტურ რეალიზმში მხატვრულ განზოგადოებას არსებითად იგივე შინაარსი აქვს, რაც სხვა რეალისტური მიმდინარეობებისთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ აქ

განზოგადოება სხვა სიზუსტით ხასიათდება, ვინაიდან იგი ემყარება ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორიას. სოციალისტური რეალიზმის მეთოდის საფუძველია რევოლუციურ-ქმედითი სოციალისტური ჰუმანიზმის კონცეფცია.

სოციალისტური რეალიზმის იდეურ-ესთეტიკური არსის განმსაზღვრელია ხელოვნებისა და ლიტერატურის ლენინური პარტიულობის პრინციპი. ლიტერატურისა და ხელოვნების უძირითადესი თავისებურებების შესახებ ლენინმა მოსაზრებები გამოთქვა ცნობილ სტატიაში "პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა," სადაც აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატის ინტერესებთან დაკავშირებული მწერლობა მიზნად უნდა ისახავდეს მასებისათვის სოციალისტური იდეალის მთელი სიდიდით ჩვენებას.[3]

1934 წელს შექმნილი საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წესდებაში ჩამოყალიბებული ახალი მეთოდების ძირითადი პრინციპები მიუთითებდნენ, რომ იგი «შემოქმედისაგან მოითხოვდა უტყუარი, ისტორიულად კონკრეტული სინამდვილის რევოლუციურ განვითარებაში გამოსახვას. ამიტომ მხატვრული ნაწარმოების სინამდვილე და ისტორიული კონკრეტულობა უნდა ეხმიანებოდეს, შეესაბამებოდეს სოციალიზმის სულისკვეთებით მშრომელთა იდეურ აღზრდასა და გადაკეთებას».

30-იან წლებში ქართული კულტურის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. წინა პერიოდის შედარებითი პლურალიზმი დამთავრდა(სსრკ ყრილობების, კონფერენციებისა, .. 1955: .229; René R. 2001: 95; Braudel F. 1993: 599)

მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა კავშირში მოსახლე სხვადასხვა ეროვნებების იდენტფიკაციის პრობლემა. საბჭოთა ადამიანის იდენტობის დადგენა შეიცვალა, ნაცვლად რელიგიური და ეროვნულისა, მისი იდენტიფიკაცია რამდენიმე ძირითადი ფაქტორით ხდებოდა, კერძოდ, კლასობრივი და პარტიული კუთვნილებით. როგორც სვანტე კორნელი აღნიშნავს, ეთნიკური ან ჯგუფური იდენტურობების გამოდევნის ერთ-ერთი და, შესაძლოა, უფრო წარმატებული მეთოდია მათი ჩანაცვლება იდეოლოგიით. ყოფილ საბჭოთა კავშირში კომუნისტურ იდეოლოგიას უნდა წაეშალა განსხვავებანი ხალხებს შორის და ჩამოეყალიბებინა თვისებრივად ახალი ადამიანი. მაგრამ, როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ამ პროცესების წარმატებით განხორციელებას საბჭოთა სახელმწიფოს სტრუქტურის ეროვნულმა დაყოფამ შეუშალა ხელი. ყველაზე მტკივნეული და პრობლემური იყო ნაციონალური იდენტობა, რომელსაც ყველა ერი სხვადასხვა გზითაა და ფორმით აგებს. ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული კონკრეტულ-ისტორიულ სიტუაციაზე, ნაციონალური ტრადიციის შინაარსზე და პოლიტიკურ კონტექსტზე. ლ.იონინი საუბრობს ეროვნული

---

[3] ქართულ ლიტერატურაში სოციალისტური რეალიზმის დამკვიდრების პროცესი დაკავშირებულია ლიტერატურის შესახებ ლენინის ცნობილ ნაშრომებთან, "პროლეტარულ მწერლობასთან", ჟურნალ "მნთობის" შექმნასთან), საქართველოს მწერალთა I და II ყრილობებთან (1926, 1928 პ(ბ) ცკ 1925 წლის რეზოლუციის _ "პარტიული პოლიტიკის შესახებ მხატვრულ ლიტერატურის დარგში" მიღებასთან, საკავშირო კპ (ბ) ცკ 1932 წლის 23 აპრილის დადგენილებასთან "ლიტერატურულ-მხატვრული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ," სსრკ მწერალთა I ყრილობასთან (1934 წ.) და სხვა მოვლენებთან.

იდენტობის განმსაზღვრელ სამ ძირითად ფაქტორზე: პოლიტიკურზე, კულტურულსა და მითოლოგიურზე, რომელთაგან შესაძლებელია სამივეს ერთდროული არსებობა ან, გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში, შეიძლება ერთი რომელიმე იყოს უფრო მნიშვნელოვანი.

კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწენი გააერთიანეს საერთო, უნიფიცირებულ კავშირებში: მწერალთა, კომპოზიტორთა, მხატვართა, არქიტექტორთა და ა.შ. დამტკიცდა ერთადერთი მხატვრული – სოციალისტური რეალიზმის - მეთოდი. ნოვატორულ იდეებს ბოლო მოეღო. რაღაც ფორმით, აღდგენილ იქნა ეროვნული კულტურული ტრადიციების ელემენტები: იქმნებოდა ფოლკლორული ანსამბლები, გამოიცემოდა ქართველ კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებები, იხდიდნენ იუბილეებს და ა.შ. ასე შეიქმნა ქართული საბჭოთა ნაციონალისტური ნარატივი. ქართული საბჭოთა პერიოდის ნაციონალური ნარატივის გაჩენა პირდაპირ კავშირშია საბჭოთა ეროვნულ პოლიტიკასთან, რომელიც იწყება ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენით – ესაა 1923 წელს საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და ის პოლიტიკა, რომელსაც ბოლშევიკურმა მთავრობამ დაარქვა „კორენიზაცია“.

30-იანი წლების განმავლობაში, ინტესიურად ტარდებოდა ადგილობრივი თუ მწერალთა საკავშირო ყრილობები, სხვადასხვა ოლიმპიადებსა, ასევე სხვადასხვა მოკავშირე ქვეყნების ხელოვნების დეკადები. ამ ღონისძიებებს კონკრეტული დატვირთვა ქონდათ- საბჭოთა ხელისუფლება ახდენდა მისთვის სასურველი ნაციონალური ნიშნების და თვისებების შექმნა. ისტორია არსებითი ტრანსფორმაციის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა (1934 წელს მიღებული კანონი სამოქალაქო ისტორიის სწავლების შემოღების შესახებ). იდეოლოგიური შეხედულებებიდან გამომდინარე, იცვლებოდა არამარტო წარსული, არამედ მომავალი ისტორიაც (სსრკ ყრილობების, კონფერენციებისა...ნაწ.1. 1954: 576).

ისტორიის და ისტორიული გმირებისკენ შემობრუნება დასჭირდათ სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთების გასაღვივებლად. მიმდინარეობდა რუსი გმირების, მათ შორის მეფეებისა და იმპერატორების – ალექსანდრე ნეველის, პეტრე პირველის – განსაკუთრებული აგიტაცია-პროპაგანდა; ისინი დადებითი და პროგრესული იერით შემოსეს. სწორება საბჭოთა ხალხს მათზე უნდა მოეხდინა, როგორც რუსი ხალხის წინამძღოლზე თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

რუსული კულტურული კოლონიალიზმის შედეგი იყო და არის მათთვის მისაღები ქართველის კონსტრუირება: როგორც მისი ჰაბიტუსის ასევე ხასიათის. მთელი 30-იანი წლების მანძილზე უწყვეტად მიმდინარეობს ყველა საბჭოთა „ერისა და ეროვნების“ ნაციონალური ნიშნების გამოყვანა. (მაისურაძე გ.) ეროვნულობის და ერის განცდაც და გაგებაც ეთნოგრაფიულ ყოფამდე დაიყვანეს და მხოლოდ ცეკვების, სიმღერების, მუსიკის, ასევე მწერლობის, კინოს, ზოგადად ფოლკლორის დონეზე დაიყვანეს. სტალინისეულმა თეზამ: „ფორმით ნაციონალური, შინაარსით – სოციალისტური“, პრაქტიკული განხორციელება პოვა. მისთვის ნაციონალურის და სოციალისტურის შერწყმა სოციალისტური ნაციის ჩამოყალიბებას გულისხმობდა. სტალინისეული ეროვნული კულტურები მთელ საბჭოთა კავშირში ვითარდებოდა (მაისურაძე გ.).

რუსული საბჭოთა იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგი იყო XX საუკუნის 20-30-იანი წლების ქართული საბჭოთა კულტურის შექმნა, რომლის სპეციფიკურობად იქცა მისი შემოქმედებითი თავისუფლების შეზღუდვა, კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის განიავება, დაკარგვა, ეროვნული კულტურული ტრადიციების მსხვრევა, მასობრივი კულტურის ოფიციალურის რანგში აყვანა და მისადმი უტილიტარული დამოკიდებულება, ქართული საზოგადოების იზოლაცია, მისი მსოფლიო კულტურის მიღწევებისაგან დაშორება.

20-იან წლებში საბოლოოდ დამთავრდა, და XX საუკუნის 80-ინი წლების ბოლომდე გაგრძელდა, პარტიულ-სახელმწიფო აპარატის მიერ სახელმწიფოს მართვის ძირითადი ფუნქციების ხელში ჩაგდებისა და განმტკიცების პროცესი, ახალი მმართველი ფენის – ქართული საბჭოთა ნომენკლატურის ჩამოყალიბება, რომლის შექნაც რთული სოციალური და პოლიტიკური პროცესების თანადროულად მიმდინარეობდა, ძველი მმართველი კლასის/ ელიტის ჩამოშორებით, რომლის განადგურება პერიოდულად ხორციელდებოდა(BRAUDEL: 617). ფ.ბროდელი ამ გზას ახალი სოციალური იერარქიის ჩამოყალიბებას უწოდებს. ეს გზა უცხო და არაორგანული იყო ქართული საზოგადოებისათვის.

ლიტერატურა:

გოგუაძე გ. მხატვრული ლიტერატურა აღზრდის უძლიერესი იარაღია, ჟურნ.: *ლიტერატურული საქართველო,* #1(3) 15.01.1937

კრებული დადგენილებებისა და ცირკულარებისაა საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე, ტფ., 1926.

სსრკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 1, თბილისი 1954

სსრკ ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებებში, ნაწილი 2, თბილისი 1955

ჯანელიძე ო., ასი წლის წინ საქართველოში, ჟურნალი ჩემი სამყარო, #31, 2021. გვ.4-15

BRAUDEL F. Gramaire des Civilisationes. Paris, 1993. (602, 603)

D'ENCAUSSE Carrière H : L'empire éclaté. Flammarion, 1978

Rene R. Le XXe siecle de 1914 a nos jours, v.3, Introduction a l'histoire de notre temps, Edition du Seul,

(Партийное строительство, М.1932, გვ.62).

Правда, № 342 (6948), 1936 .

ონლაინ რესურსები:

ბადრიძე გ., რუსეთის იმპერიული იდეოლოგიები; ჟურნალ „ჩემი სამყარო," #26, 2019. გვ.4-13 https://www.gfsis.org/ge/my-world/26?fbclid=IwAR1cfW3dfbMjcqGAZp9Av6y43c-0MJiHe2EMmBPmZx5Cchhux6XRxnff_80

მაისურაძე გ., საქართველომ საკუთარ თავს გამოუცხადა ომი. https://indigo.com.ge/articles/giorgi-maisuraze-saqartvelom-sakutar-tavs/